



European Commission

რა მოხდება, თუ ზომებს არ მივიღებთ?

ეკოლოგიური მწვანე შეთანხმება

2019 წლის დეკემბერი
#EUGreenDeal



“ცვლილებების ხარჯი მაღალი იქნება, მაგრამ უმოქმედობა უფრო ძვირი დაგვიჯდება.”

ურსულა ფონ დერ ლეიენი, ევროკომისიის პრეზიდენტი

თუ კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ზომებს არ მივიღებთ, ჩვენს შვილებს ცხოვრების მანძილზე შეექმნებათ ისეთი პრობლემები, როგორცაა



დაბინძურება

400,000

ნაადრევი გარდაცვალება წელიწადში ჰაერის დაბინძურების გამო.

წყარო: ევროპის გარემოს დაცვის სააგენტო, 2019 წლის ანგარიში „ჰაერის ხარისხი ევროპაში“



სიცხე და გვალვა

90,000

გარდაცვალება ყოველწლიურად თბური ტალღების გამო¹

660,000

თავშესაფრის დამატებითი მაძიებელი ევროკავშირში ტემპერატურის 5°C -ით ზრდის შემთხვევაში²

16%

გადაშენების ზღვარზე მყოფი სახეობები ტემპერატურის 4.3°C-ით ზრდის შემთხვევაში³

წყარო: (1) ევროკომისიის ერობლივი კვლევის ცენტრი PESETA IV, (2) ა. მისირიანი და ვ. შლენკერი, თავშესაფრის მაძიებლების რაოდენობის დამოკიდებულება ტემპერატურის ცვლილებაზე, მენციურება, ტომი. 358, ნომერი 6370, გვ. 1610-1614, 2017; (3) IPBES 2019, Global Assessment



წყალი და წყალდიდობა

40%-ით ნაკლები ხელმისაწვდომი წყალი ევროკავშირის სამხრეთ რეგიონებში

ნახევარი მილიონი ადამიანი ყოველწლიურად აღმოჩნდება მდინარეების აღიდების საფრთხის წინაშე

2.2 მილიონი ადამიანი ყოველწლიურად აღმოჩნდება სანაპირო ტერიტორიების დატბორვის საფრთხის წინაშე

წყარო: ევროკომისიის ერთობლივი კვლევის ცენტრი, PESETA IV



ეკონომიკა

190 მილიარდი ევროს ზარალი მსოფლიოში ტემპერატურის 3°C-ით ზრდის შემთხვევაში

წყარო: სისკარი და სხვ., 2014: კლიმატის ცვლილების ზემოქმედება ევროპაზე, ევროკომისიის ერთობლივი კვლევის ცენტრის PESETA II პროექტი

გლობალური მასშტაბით, მდინარეების აღიდების შედეგად საკუთარი სახლების იძულებით დატოვების რისკის ქვეშ მყოფი ადამიანების რიცხვი წელიწადში შესაძლოა **50 მილიონით** გაიზარდოს

წყარო: შიდა მიგრაციის მონიტორინგის ცენტრი, წყალდიდობების შედეგად ადგილმონაცვლეობის რისკებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება, 2019

კლიმატის ცვლილებამ შესაძლოა 2050 წლისთვის სურსათის **20%-ით** გაძვირება გამოიწვიოს

წყარო: COACCH, ევროპაში კლიმატის ცვლილების ეკონომიკური ფასი, 2018

სიცხით გამოწვეული სიკვდილიანობის ეკონომიკურმა ზარალმა წელიწადში შესაძლოა **40 მილიარდ ევროს** გადააჭარბოს

რაც უფრო დავაგვიანებთ, მით უფრო რთული გახდება დაბალი ტემპერატურების სამიზნე მაჩვენებლების მიღწევა და მით უფრო ძვირი დაგვიჯდება აუცილებელი ზომების მიღება.

